ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N5

ქ. ლანჩხუთი **15.08.2019წელი**
16.00
საათი

სხდომას ესწრებოდა: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი გვარჯალაძე.**

კომისიის წევრები: ზაზა წულაძე, ცისანა ურუშაძე, რეზო კვაჭაძე, ბესიკ კუპრაძე, აკაკი იმნაიშვილი, იოსებ ჩხაიძე, სპარტაკ კვაჭაძე, ლელა ჩახვაძე, ოთარ პატეიშვილი, ელისო ჭიჭინაძე, ვენე კვირკველია.

მოწვეული სტუმარი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **ნუგზარ ბოლქვაძე.**

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2019-2021 წლებში“ სხვადასხვა ფონდიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის განხილვის თაობაზე.

3. სხვადასხვა

კომისიის თავმდჯომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 12; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხი: კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2020 წელს სხვადასხვა ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხა. ესენია:

ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაციის ფონდით განსახორციელებელი პროექტები:

1. ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის მშენებლობა;

2. ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის მშენებლობა;

3. ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის მშენებლობა;

4. ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის მშენებლობა;

5. მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის რეაბილიტაცია;

6. გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის რეაბილიტაცია;

7. ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის რეაბილიტაცია;

8. ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის რეაბილიტაცია;

9. ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის რეაბილიტაცია;

10. ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის რეაბილიტაცია.

რეგიონული განვითარების ფონდით განსახორციელებელი პროექტები:

1. ქალაქ ლანჩხუთში საფეხმავლო ბილიკების, გარე განათების და მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი შენობების ფასადების რეაბილიტაცია;
2. ქალაქ ლანჩხუთში 10 ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა;
3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია;
4. ქალაქ ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია;
5. საფეხბურთო აკადემიის მოედნის განათების და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები;
6. ქალაქ ლანჩხუთში 7 ქუჩაზე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა;
7. სოფ. გროგოლეთში პალიასტომის ტბაზე შესასვლელის მოწყობა;
8. ქალაქ ლანჩხუთში მინი სტადიონების რეაბილიტაცია;
9. ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალურ მაგისტრალზე გარა განათების მოწყობა;
10. ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში ყვავილნარში გზის რეაბილიტაცია;
11. სოფ. ქვემო შუხუთში ლელოს მუზეუმის მშენებლობა;
12. ჟორდანიას სახელობის სკვერის მიმდებარედ ტერიტორიის რეაბილიტაცია;
13. ორაგვის ტურისტული ზონის ინფრასტრუქტურის მოწყობა;
14. კურორტ გრიგოლეთში შიდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

წყლის ხარისხის გაუმჯობესების პროგრამით განსახორციელებელი პროექტი:

1. ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია.

სტიქიის პრევენციის ფონდით განსახორციელებელი პროექტი:

1. ქალაქ ლანჩხუთში მორჩილაძის და ნათლისმცემლის ქუჩების სანიაღვრე არხების მოწყობა.

კომისიის წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტების მოწონების ნუსხა გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

მომხრე 12; წინააღმდეგი არცერთი.

2. **დღის წესრიგის მეორე საკითხი:** კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** ასევე წარმოადგინა ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2019-2021 წლებში" სხვადასხვა ფონდიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხა. ესენია:

საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტები:

1. წყალწმინდაზე შემოვლითი გზის რეაბილიტაცია;
2. შუხუთი-აკეთის გზის რეაბილიტაცია;
3. სუფსა-ჩოჩხათი-გულიანის საავტომობილო გზაზე ასფალტო-ბეტონის მეორე ფენის მოწყობა;
4. ღრმაღელე-ომფარეთის გზის რეაბილიტაცია;
5. აცანა-აკეთის გზის რეაბილიტაცია;
6. ეწერი-ჯურუყვეთის ცენტრალური მაგისტრალის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები:

1. აცანის საბავშვო ბაღის მშენებლობა;
2. სუფსის საბავშვო ბაღის მშენებლობა;
3. ხაჯალიის საბავშვო ბაღის მშენებლობა;
4. გვიმბალაურის საბავშვო ბაღის მშენებლობა;
5. გულიანის საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ დაფინანსებული პროექტები:

1. სოფ. ღრმაღელეში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია;
2. სოფ. ქვემო აკეთში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია;
3. სოფ. ჭანჭათში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია;
4. სოფ. წიაღობანში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია.

კომისიის წევრების მიერ პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2019-2021 წლებში“ სხვადასხვა ფონდიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხა გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

მომხრე 12; წინააღმდეგი არცერთი.

3. სხვადასხვა.

დეპუტატმა აკაკი იმნაიშვილმა განაცხადა: სოფ. შუხუთის სკოლას და საბავშვო ბაღს არ აქვს სასმელი წყალი, რომლის მიწოდებაც შესაძლებელია ქალაქის წყალსადენიდან, რისთვისაც საჭიროა მოლაპარაკების წარმოება გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან, ასევე აღსადგენია ყოფილი ყველკარაქის ქარხნის წინ არსებული ინფრასტრუქტურული კომპოზიცია, რომლთაც მრავალი მგზავრი სარგებლობდა; ქალაქის შუხუთს შორის მდინარე უკანღელეზე არსებული საავტომობილო ხიდის ფეხითმოსიარულთა ტროტუარი ვიწროა. იგი აუცილებლად გასაფართოებელია, რომელიც შეიძლება ადგილზე ვნახოთ კომისიის წევრებმა;გარე განათების არსებული ნათურები უნდა შეიცვალოს მაღალ ვატიანი ნათურებით სოფელ შუხუთის მონაკვეთზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ნუგზარ ბოლქვაძის** თქმის გარე განათება ჩასმულია პროექტში, ყოფილი ყველკარაქიდან გვიმბალაურის ხიდამდე გარე განათება.

დეპუტატმა ლელა ჩახვაძე ითხოვს სოფ. ნინოშვილში კულტურის სახლის გარე განათებას.

დეპუტატმა სპარტაკ კვაჭაძემ განაცხადა, რომ კაიჯვარას და ეწრის მოსახლეობაში წყალი არის რომელიც არ მიეწოდება სკოლას, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება.

დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ აღნიშნა: სოფ. ლესის მცხოვრებ ნაზიბროლა ჯიბლაძის სახლთან მისასვლელი გზა და ჯამბულ სურმანიძის სახლთან არსებული წყლის მილი აღსადგენია, რომლებიც სტიქიის შედეგად დაზიანდნენ; სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სოფ. ლესაში მიმდინარეობს კულტურის დარბაზის რეაბილიტაცია, რომელიც თანხის უკმარისობის გამო გაკეთებულია სანახევროდ, გთხოვთ დაგვეხმაროთ თანხის მოძიებაში; რატომ გაძვირდა სუფსა-ურეკის მარჟუტკა და მგაზვრობის საფასური გახდა ჩიბათამდე ერთი ლარი, მაშინ როცა ლესა-ქვიანის მგზავრობა არ გაძვირებულა?

დეპუტატმა იოსებ ჩხაიძის აღნიშნა, რომ მარჯანიშვილის ქუჩის კერძოდ ქალაქის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, არის ქვეწარმავლები სადაც მოსახლეობაში შედიან, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება.

დეპუტატმა ბესო კუპრაძემ აღნიშნა, რომ უამრავი პრობლემაა სოფლებში, ხომ არ ჯობია შევქმნათ სამუშაო ჯგუფი კომისიის წევრებმა, ჩვენ თვითონ ადგილზე ვნახოთ თუ რა პრობლემებია.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: გ. გვარჯალაძე /გიორგი გვარჯალაძე/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N5

ქ. ლანჩხუთი **15.08.2019 წ.**

2019 წლის 15 აგისტოს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2019-2021 წლებში“ სხვადასხვა ფონდიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის განხილვის თაობაზე.

3. სხვადასხვა

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2019-2021 წლებში“ სხვადასხვა ფონდიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტები.

წარმოდგენილი პროექტი გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და

ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: გ. გვარჯალიძე გიორგი გვარჯალაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის
სარეგისტრაციო ფურცელი

15.08.2019 წ.

	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	გიორგი გვარჯალაძე	15.50	
2.	ცისანა ურუშაძე	15.58.	
3.	კახა ბოლქვაძე	–	არ ესწრებოდა
4.	ზესიკ კუპრაძე	15.57	
5.	ოთარ პატიეშვილი	15.55	
6.	სპარტაკ კვაჭაძე	15-57	
7.	ლელა ჩახვაძე	15სთ-55	
8.	ზაზა წულაძე	15.58.	
9.	რეზო კვაჭაძე	15.55	
10.	კახა თედორაძე	–	არ ესწრებოდა
11.	იოსებ ჩხაიძე	15.50	
12.	ამირან ქანთარია	–	არ ესწრებოდა
13.	აკაკი იმნაიშვილი	15.58.	
14.	ელისო ჭიჭინაძე	15.50	
15.	ირაკლი მარშანიშვილი	–	არ ესწრებოდა
16.	ემზარ თევდორაძე	–	არ ესწრებოდა
17.	ვენე კვირკველია	15.50	